სარჩევი

რა არის ახალი 2

გაცემული ანგარიშ-ფაქტურების ჩამოტვირთვა და მათ საფუძვლად რეალიზაციების შექმნა..... 2

ხელფასის პაკეტური გადარიცხვის დოკუმენტის საფუძველზე საშემოსავლოს საგადახდო დავალებების შექმნის შესაძლებლობა..... 3

გასწორებული შეცდომები 6

სხვა მოდიფიკაციები..... 6

ბალანსის რელიზი_1.3.10.11

15.05.2025

რა არის ახალი

გაცემული ანგარიშ-ფაქტურების ჩამოტვირთვა და მათ საფუძვლად რეალიზაციების შექმნა

პროგრამა ბალანსში დაემატა გაცემული ანგარიშ-ფაქტურების ჩამოტვირთვის ფუნქციონალი, რომლის საშუალებითაც მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ ჩამოტვირთონ შემოსავლების სამსახურის პორტალიდან ისეთი ანგარიშფაქტურები რომელიც გამოწერილია შემოსავლების სამსახურის პორტალიდან და არა პროგრამა ბალანსიდან, ასევე ჩამოტვირთული ანგარიშფაქტურების საფუძველზე გააფორმონ შესაბამისი რეალიზაციის დოკუმენტები.

ფუნქციონალს იხილავთ RS-ის მოდულში ანგარიშფაქტურების დაჯგუფებაში:





ხელფასის პაკეტური გადარიცხვის დოკუმენტის საფუძველზე საშემოსავლოს საგადახდო დავალებების შექმნის შესაძლებლობა

პროგრამა ბალანსში დაემატა ხელფასის პაკეტური გადარიცხვის დოკუმეტნის საფუძველზე საშემოსავლოს საგადახდო დავალებების შექმნის შესაძლებლობა.



ასევე დოკუმენტის ფორმას დაემატა შემდეგი საინფორმაციო ჯამური ველები:

- გადასახადელი ხელფასი

- საშ. გადასახადი
- საპენსიო (თანამშრომლის წილი)
- საპენსიო (კომპანიის წილი)



გადადებულ ჩეკზე ინფორმაციის დანახვის შესაძლებლობა გაყიდვების დამხმარეში

გაყიდვების დამხმარედან შესაძლებელია გადადებული ჩეკის ინფორმაციის ნახვა მის აღდგენამდე.

გაყიდვების დამხმარის დამუშავების ქუდურ ნაწილში, „გადადებული ჩეკები“ ღილაკზე დაჭერით გაიხსნება გადადებული ჩეკების ფანჯარა.



გადადებული ჩეკების ზედა ცხრილურ ნაწილში გამოჩნდება გადადებული ჩეკები: ჩეკის თარიღი,

ნომერი, დოკუმენტი, მყიდველი და თანხა, ხოლო ქვედა ცხრილურ ნაწილში გამოჩნდება კონკრეტული გადადებული ჩეკის პროდუქცია.



„ჩეკის აღდგენა“ ღილაკზე დაჭერით გადადებული ჩეკების ფორმა დაიხურება და დაიწყება ჩეკის დარეალიზების პროცესი, „ჩეკის ანულირება“ ღილაკით გადადებული ჩეკების ფორმიდან წაიშლება ჩეკი, ხოლო „დახურვა“ ღილაკით დაიხურება გადადებული ჩეკის ფორმა.

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია კომერციულ შეთავაზებაში ხელშეკრულების შევსების ხარვეზი, როდესაც მყიდველზე არ არის ჩართული ხელშეკრულებით ანგარიშსწორება
- გასწორებულია გაყიდვების დამხმარესა და საცალო ინტერფეისში გადახდის ჩანართზე პროდუქციის დასკანირებისას ავტომატური ფასდაკლების დათვლის ხარვეზი
- გასწორებულია ნომენკლატურის კოპირებისას სურათის გადაყოლების ხარვეზი
- გასწორებულია მიღებული ზედნადებების ჩამოტვირთვის დამუშავებიდან ნომენკლატურის შექმნის ხარვეზი, როდესაც მომხმარებელს არ აქვს ნომენკლატურის შექმნის უფლება
- გასწორებულია უკან დაბრუნების დამხმარეში ნაწილობრივ დაბრუნებული განაცხადის დოკუმენტის შევსების ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- გაცემული ანგარიშ-ფაქტურების ჩამოტვირთვა და მათ საფუძვლად რეალიზაციების შექმნა
- ხელფასის პაკეტური გადარიცხვის საფუძველზე საშემოსავლო გადასახადის ფულის გასვლა ბანკიდან და საგადახდო დავალების შექმნის შესაძლებლობა
- გაყიდვების დამხმარეში გადადებულ ჩეკზე დეტალური ინფორმაციის დანახვა
- ამონაწერით შექმნილი დოკუმენტების იდენტიფიცირება ოპერაციის უნიკალური იდენტიფიკატორით
- საკადრო მოძრაობის დოკუმენტში საპენსიო სქემაში მონაწილეობის ალმის ავტომატური მონიშვნა
- ქლაუდის ბაზების ინვოისების პაკეტური შეცვლის დამუშავების რეგლამენტურად გაშვების შესაძლებლობა
- ინვენტარიზაციაში საწყობის ნაშთების შევსების შესაძლებლობა ცხრილის გასუფთავების გარეშე
- თერმულ პრინტერზე საბეჭდი ჩეკების რაოდენობა პრინტერის პარამეტრების მიხედვით